განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

# 33 გასაღები

ნინო შარაშენიძე
ანი კუდუხაშვილი
მაია წიკლაური
თინათინ ლომსაძე
ნინო ქიმერიძე
თამარ ჩხაიძე
ხათუნა ყოჩაშვილი
მარეხ კუტალაძე

**მოსწავლის რვეული**

ილუსტრატორი:
ია გიგოლაშვილი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

კორექტორი:
მაია წიკლაური

ISBN 978-9941-8-6525-1

ქართული მცირერიცხოვანი ერის ენაა, მაგრამ მართლაც უძველესი, უმშვენიერესი და უმდიდრესი ენაა... და რამ უნდა აცოცხლოს და განავითაროს ეს ენა? ბევრ მთავარ ფაქტორს შორის, ერთ-ერთი მისი პოპულარიზაციაა – ქართული ენის ცოდნის მსურველთა რიცხვის მუდმივი ზრდა... განსაკუთრებით მაშინ, როცა თავისუფლებამ ბევრი ემიგრანტი და შერეული ოჯახი წარმოშვა... ასე რომ, ლოგიკურად გამოიკვეთა ის სფერო, რომელიც ქართული ენისათვის უმნიშვნელოვანეს მსახურებად ითვლება... ეს ლოგიკური, სასურველი, აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამამ“ დაიტია... მიზანი ასეთია – რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისწავლოს ქართული; იმ ადამიანებმა, რომელთა ფესვებიც საქართველოშია.

2016 წლიდან დღემდე, ონლაინ სივრცეში, ქართული ენის სიყვარულით მრავალი ადამიანი გაერთიანდა, რომელთაგან ზოგი მოსწავლეა და ზოგიც მასწავლებელი. დღითიდღე უფრო იზრდება ქართული ენის შესწავლის ინტერესი და შესაძლებლობა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, ბედისა და თუ სხვადასხვა საჭიროების გამო, უცხო ქვეყნებში აღმოჩნდნენ, თუმცა აქვთ დიდი სურვილი, გააცნონ შვილებს ეს „ძვირფასი სამყარო“. ამასთან ერთად, მშობლიური ენის მხარდაჭერა და შენარჩუნება ეფუძნება საერთო ევროპულ ღირებულებებს და სარგებელი მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით, ბავშვის განათლება მიზნად ისახავს ბავშვის საკუთარი კულტურული იდენტობის, მისი ენისა და ღირებულებებისადმი პატივისცემის განვითარებას. ამიტომაც მშობლიური ენის სწავლა აუცილებელია ყველა ადამიანისთვის, ვისაც სურს იცოდეს თავისი ფესვები და იდენტობა. ასევე, მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ ბილინგვიზმი აძლიერებს კოგნიტურ უნარებს, აუმჯობესებს კონცენტრაციას და ფოკუსირებას, მეხსიერებას, ყურადღებასა და კონტროლს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ქართული ენის ონლაინ სწავლების პროგრამაში დღითიდღე იზრდება იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებსაც სურთ ჰქონდეთ კავშირი სამშობლოსთან; ასევე, საგრძნობლად იმატებს საკვირაო სკოლების რაოდენობა სხვადასხვა ქვეყანაში. სწორედ ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გაჩნდა აუცილებელი საჭიროება, შექმნილიყო ინტერაქტიური სახელმძღვანელო, რომელიც, ერთი მხრივ, თანამედროვე მეთოდებს და, მეორე მხრივ, ენის ყველა მიმართულებას მოიცავდა

და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არ იქნებოდა მხოლოდ ენის შემსწავლელი სახელმძღვანელო. „33 გასაღები“ მდიდარია ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ისტორიის იმ საკითხებით, რომლებიც მომავალში მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ქართულ ეროვნულ იდენტობას; მასწავლებლებს კი დაეხმარება, სასწავლო პროცესი უფრო მრავალფეროვანი და გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული გახადონ, რაც სამომავლოდ აამაღლებს ემიგრანტი მოსწავლეების თვითშეფასებას და ხელს შეუწყობს მშობლიური ენის ცოდნის გამოყენებას ცხოვრებაში.

მოხარული ვარ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედი პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ეს მეტად საჭირო და აუცილებელი რესურსი. რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს ამ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ საქმეში ჩართულობისა და მხარდაჭერისათვის.

**ბერიკა შუკაკიძე**
**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი**

საქართველოს საპატრიარქოსთვის, საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ მოზარდებში მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი. როგორც ილია მართალმა ბრძანა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი ძალისხმევით, შეიქმნა სახელმძღვანელო – „33 გასაღები“, რომელიც განკუთვნილია უცხო ქვეყნებში მცხოვრები ქართველი (და არა მხოლოდ) ბავშვებისთვის, რათა მათ შეძლონ მშობლიური ენის შესწავლა/გაუმჯობესება. მათთვის სამშობლოსთან კავშირი და ამ კავშირის განმტკიცება ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას ნიშნავს, რადგან ადამიანს სამყაროს შეცნობა მხოლოდ მშობლიური ენით შეუძლია.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა დიდად მნიშვნელოვანია საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის, რადგან მშობლიური ენის სათანადო დონეზე დაუფლების შემთხვევაში, მოზარდები შეძლებენ ჩვენი ქვეყნის  რელიგიის ისტორიის გაცნობასაც.

მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს აკეთებს ამ მიმართულებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოქმედი ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამა. ამ პროგრამაში ჩართული მოსწავლეები ცხოვრობენ საზღვარგარეთ და იმყოფებიან სხვადასხვა კულტურულ და სოციალურ გარემოში. ქართული ენის დისტანციური სწავლების პროგრამის საშუალებით, საზღვარგარეთ მცხოვრები ბავშვები სწავლობენ მშობლიურ ენას და, იმადროულად, სხვადასხვა ქვეყანაში ქართული ეკლესიის ფრთის ქვეშ მოქმედ სამრევლო თუ საკვირაო სკოლებში მოსწავლეები პირისპირ ეზიარებიან რელიგიის ისტორიასა და ქართულ კულტურას.

ზემოხსენებულ უწყებათა თანამშრომლობის ფარგლებში, კვლავ გავაგრძელებთ მუშაობას სხვადასხვა დონის სასწავლო რესურსების შექმნაზე, რომლებიც დაეხმარება უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მოსწავლეებს სამშობლოსთან დაახლოებაში.

**საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულე მოზარდებში ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობა საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ქართული დიასპორისათვის მშობლიური ენის შენარჩუნება ოდითგანვე მნიშვნელოვანი იყო. ჩვენი დიასპორა, ჩვენს სახელმწიფოსთან ერთად, ნათლად აცნობიერებს, რომ უცხოეთში დაბადებული ქართველი ბავშვებისთვის მშობლიურ ფესვებთან კავშირის შესანარჩუნებლად უმთავრესი მშობლიური ენის ცოდნაა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად, განახორციელა კიდევ ერთი ერთობლივი პროექტი, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს პატარა თანამემამულეებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს. პროექტის მიზანია, ქართული ენის სწავლის პროცესში ჩართოს ყველა ის ქართველი ბავშვი, რომელიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იმყოფება და სურს დაეუფლოს მშობლიურ ენას.

სახელმძღვანელო წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად შემუშავებული ქართული ენის სწავლების ინტეგრირებული, სამსაფეხურიანი პროგრამის შემადგენელ ნაწილს – მის პირველ საფეხურს და განკუთვნილია დამწყებთათვის. სახელმძღვანელოს გაუმჯობესების აუცილებლობა საკვირაო სკოლების პედაგოგებთან არაერთი შეხვედრის შედეგად გამოიკვეთა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახელმძღვანელოს დახვეწასა და სრულყოფაზე წინადადებების შემუშავების პროცესი ერთობლივად, სახელმწიფოს, საკვირაო სკოლების პედაგოგებისა და საავტორო ჯგუფის ჩართულობით მიმდინარეობდა, რამაც შესაძლებელი გახადა, შექმნილიყო ქართული ენის პირველი საფეხურის, დაწყებითი დონის, ახალი ინტეგრირებული სახელმძღვანელო – „33 გასაღები“ (ქართული ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის).

სახელმძღვანელო, რომელიც მომზადდა განათლების სისტემაში მოღვაწე პროფესიონალთა გუნდის მიერ, ითვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ საკვირაო სკოლებში ერთიანი სტანდარტის დანერგვასა და სწავლების დონის ამაღლებას. ის ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვებში ქართული ენისა და კულტურის პოპულარი-

ზაციას, სამშობლოსთან სიახლოვის განცდას და საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს პატარა თანამემამულეებს ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესების საშუალებას მისცემს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად,სამომავლოდ კვლავაც გააგრძელებს მუშაობას თანამემამულე მოზარდების სასკოლო მზაობის შესაბამისი, ერთიანი სტანდარტის შესატყვისი სახელმძღვანელოების შესაქმნელად, ჩვენი ქვეყნის კულტურული და ეროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით, რათა ხელი შეუწყოს საზღვარგარეთ მცხოვრებ მოზარდებს ქართული ენის შესწავლაში, მშობლიური ქვეყნის ისტორიის გაცნობაში, ეროვნული ფასეულობების განმტკიცებაში.

**მუხრან გულაღაშვილი**

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი**

# წინასიტყვაობა

ენა – სამყაროს აღქმის საუკეთესო გზა...
ენა – აზროვნების ფორმა...
ენა – უწყვეტი კავშირი სამშობლოსთან...
ენა – ურთიერთობა ერის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან...

ენის დაკარგვა ფესვებიდან მოწყვეტას ნიშნავს...
ენის დაკარგვა ცნობიერების დიდი ნაწილის დაკარგვას ნიშნავს...
ენის დაკარგვა სამშობლოსთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავს, რადგან სადაც არ უნდა იყო, მაინც თან დაატარებ სამშობლოს, თუ ენა იცი...

ეს წიგნი მათთვისაა, ვინც იცის მშობლიური ენის მნიშვნელობა...
ეს წიგნი იმ მოსწავლეებისთვისაა, რომლებსაც სურთ, რომ ქართული ანბანის შესწავლა ერთდროულად იყოს  საინტერესოც და სახალისოც; ამასთანავე, სურთ, რომ ანბანთან ერთად ენის აქტიურ ლექსიკასაც დაეუფლონ...

ჩვენს წიგნს „33 გასაღები“ ჰქვია და შემსწავლელს გულწრფელი სიხარულით გადავცემთ ქართული ენის ყველა კარის გამხსნელ 33 გასაღებს... ისინი ქართული ენის უსაზღვრო სამყაროში შეგიყვანთ, სადაც ფასდაუდებელი საგანძურია...

ამ ფერად წიგნში მოცემულია ქართული ანბანის 33 ასო და 33 თემა... თემები მოიცავს სხვადასხვა საკითხის მთავარ ლექსიკას... აქვეა მცირე ზომის სახალისო ტექსტები, რომლებიც შეიძლება „ერთობლივი კითხვის მეთოდით“ დამუშავდეს, სწორედ ისევე ბუნებრივად, როგორც მშობლები უკითხავენ წიგნებს პატარებს და ისინიც თვალს აჩვევენ  ქართულ ასოთა მოხაზულობას, უმეგობრდებიან წიგნს; მერე კი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სწავლობენ კითხვას...

წიგნი სრულ შესაძლებლობას აძლევს ყველას, თავისი სურვილისა და პრინციპის მიხედვით გაეცნოს თემასაც და ანბანის ასოსაც, თანმიმდევრულად იქნება ეს თუ არათანმიმდევრულად... მთავარია, ყოველი გვერდი ისე აღიქვათ, როგორც ახალი კარის ახალი გასაღები.

**ნინო შარაშენიძე**
**წიგნის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი**

# შინაარსი


14 ა

18 ბ

22 გ

26 დ

30 ე

34 ვ

38 ზ

42 თ

46 ი

50 კ

54 ლ

58 მ

62 ნ

66 ო

70 პ

74 ჟ

78 რ

82 ს

86 ტ

90 უ

94 ფ

98 ქ

102 ღ

106 ყ

110 შ

114 ჩ

118 ც

122 ძ

126 წ

130 ჭ

134 ხ

138 ჯ

142 ჰ

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

## გააფერადე:



## დააკავშირე ნაწერი და ნახატი:

აკვარიუმი





ალუბალი



აქლემი

ატამი



## მოძებნე ასო ა და შემოხაზე:

ფ ა ძ ა გ მ

ძ ა ღ პ ა წ ა ზ

ა კ ა

შ ტ ძ ა უ ო ბ

ძ ი ა ძ

## ᲘᲞᲝᲕᲔ ᲐᲡᲝ Ა-ᲖᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ:



## ᲩᲐᲬᲔᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲡᲝ:



-კვ-რიუმი



-ლუბ-ლი



-ქლემი

## ᲓᲐᲮᲐᲢᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ:

ავტობუსი

ატამი

## წაიკითხე და დახატე:

**ანი და ანრი არდადეგებზე აგარაკზე არიან.**
**აგარაკზე არის აუზი. აუზთან ათი ბავშვია.**

## გადახაზე ზედმეტი სიტყვა:

| | |
|---|---|
| **ანკესი** | **გემი** |
| **აბლაბუდა** | **ათი** |
| **ასი** | **აკაცია** |

## იპოვე ასო ა და გააფერადე:

აგარაკი ანბანი

არდადეგები მგზავრი

## გახაზე ა ასოზე დაწყებული სიტყვები:

ასანთი, საათი, ანბანი, თასი, აივანი, თათი, ანი,
თეთრი, ანრი, ნანა.

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

ბ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ:

ბ

## ᲘᲞᲝᲕᲔ ᲐᲡᲝ ბ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔ:

კ დ რ ზ ბ ფ ლ ბ

დ ა ხ კ რ ბ ც ს ხ ბ უ

ლ ვ ბ ე ნ ბ ყ ქ ბ მ ნ ს ბ

## ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ ᲐᲡᲝ ბ:

ბებოს გამომცხვარი
კვერი ტკბილიათ.

## ᲒᲐᲮᲐᲖᲔ ბ ᲐᲡᲝᲖᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

ბამბუკი, სახლი, ბანანი, თავი, ბორბალი, ხელი, ანბანი,
ბუშტი, აქლემი, ობობა.

## ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲢᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

ბუ ბაია ბუდე ბურთი

## გადახატე წინადადებები:

აი ბუშტი. აქ ათი ბურთია.

ეს ბუდეა. ის ბაიას ბაღია.

## ჩასვი გამოტოვებული ასო ბ:

◯ურთი   ო◯ო◯ა   ◯ამ◯უკი

◯ალიში   ◯ე◯ია   ◯ა◯უა

## გახაზე სიტყვა ბუ:

**კედელი, ბუხარი, ბურახი, საქანელა, ბულბული, ბაბუა.**

## დაალაგე სიტყვები ასოების რაოდენობის მატების მიხედვით:

ბრა, ბადრიჯანი, ბებო, ბაყაყი, ბორბალი, ბაბუა, ბეჰემოთი,
ბუ, ბიბლიოთეკა.

## დახატე დიდი და პატარა ბუ:

## შემოხაზე ნახატის შესაბამისი სიტყვა:

ბუშტი



ა) ბიჭი

ბ) ბუშტი

გ) ბურთი

ბალიში



ა) ბორბალი

ბ) ბაღი

გ) ბალიში

ბაყაყი



ა) ბაყაყი

ბ) ბავშვი

გ) ბალახი

## დახატე:

ბექა და ბაბუა ბურთით თამაშობენ.

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## გააფერადე:

გ

## იპოვე ასო გ და შემოხაზე:

კ გ დ რ ზ გ ფ ლ გ

დ ა ხ გ კ რ გ ც ს ხ გ უ

ლ ვ გ ე ნ ბ ყ ქ გ მ ნ ს ბ

## გააფერადე ასო გ:

გამგონი გაიგონებსო.

## გახაზე გ ასოზე დაწყებული სიტყვები:

გემი, ღუზა, გოგო, თავი, გასაღები, კარი, გოგრა, სახლი,
გვირილა, გორილა.

## გადახატე სიტყვები:

გზა გოგო გემი

## გადახატე წინადადებები:

აი გოგრა. ეს გზაა.

აი ათი გემი.

## ჩასვი გამოტოვებული ასო გ:

_ო_რა    _ოზინაყი    _ედი

_ორილა    _ემი    _იტარა

## მიიღე სიტყვები:



რაგოგ



ირგვილა



აგღებსია



მიგე



ვგლიე

## დაალაგე სიტყვები ასოების რაოდენობის მატების მიხედვით:

გვირილა, გზა, გოგონა, გული, გველი, გასაღები, გალაქტიკა.

## დახატე გიორგი და გვანცა:

## დახატე შენი მეგობარი და აღწერე:

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ:

დ

## ᲘᲞᲝᲕᲔ ᲐᲡᲝ Დ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔ:

კ ლ დ რ ზ გ ფ ლ გ

დ ა ხ გ დ რ გ ც დ ხ გ უ

ლ დ გ ე ნ დ ყ ქ გ ზ დ ს ბ

## ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ ᲐᲡᲝ Დ:

დიდ ხეს დიდი ნაფოტები სცვივათ.

## ᲒᲐᲮᲐᲖᲔ Დ ᲐᲡᲝᲖᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

ფოთოლი, დედამიწა, მხარე, წყარო, დედა, ბილეთი, დათვი, ბელი, დელფინი.

## ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲢᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

დედა დილა დათვი

## გადახატე წინადადებები:

აი დედა.

ეს დიდედაა.

აი ჩემი და.

## ჩასვი გამოტოვებული ასო დ:

_ეი_ა    _ე_ამიწა    _ოლი

_ი_ე_ა    _ათვი    კო_ალა

## დაალაგე სიტყვები ნახატების მიხედვით:



დელფინი





დომინო

დოლი





დაფა

დედა

## დახატე შენი დაბადების დღე:

## დახატე დაბადების დღის მოსაწვევი შენი მეგობრებისთვის:

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

ე

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:

ე

დაწერე ასო:

ე

## გააფერადე:

# ე

## დახატე ე ასოზე დაწყებული საგანი:

## გახაზე ე ასოზე დაწყებული სიტყვები:

ექიმი, კაბინეტი, ენოტი, პაციენტი, ენა, კლინიკა, ეკალი, სურათი, ექთანი, პირბადე, ექვსი.

## იპოვე ყველაზე გრძელი სიტყვა:

ენა, ევკალიპტი, ექიმი, ეტლი, ეზო, ენოტი.

## იპოვე დამალული სიტყვები და დახატე:

არდადეგებიეკალიანბანიენაბაღიენოტი

## ჩაწერე გამოტოვებული ასო ე:

    

-ზო -ნძ-ლა -რთი -ქვსი თ-რმომ-ტრი

## გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ბგერაც გესმის:

  

ეკალი ეზო ერთი

## წაიკითხე და დაწერე:

დედა ბებია

შეაფასე შენი ნაშრომი:

  

## დახატე ექიმი და პაციენტი:

## დახატე აფთიაქი:

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

ვ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## დააკავშირე ნაწერი ნახატთან:



ველოსიპედი



ვარდი





ვაშლი

ვიოლინო

## იპოვე ასო ვ და გააფერადე:

თ ვ ა ვ ვ ი

## დახატე სიტყვა:

ვაშლი

ვარსკვლავი

## იპოვე და შემოხაზე ერთნაირი ასოები:

ვ ა ვ ე

გ დ ბ ვ ვ ვ

## გახაზე ვ ასოზე დაწყებული სიტყვები:

აივანი, ვარდი, თვალი, ვირი, კვამლი, ვიოლინო, დათვი, ველოსიპედი.

## იპოვე ერთნაირი სიტყვები და შემოხაზე:

თავი, სავარცხელი, ვაზი, თავი, თვალი.

## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

ბადებაგედევიდათვი

## გადახაზე ზედმეტი სიტყვა:



ვეშაპი



ვერტმფრენი



ვეფხვი



ვირი

## შემოხაზე შესაბამისი სიტყვა:







**ვულკანი**

ა) ვარდი
ბ) ვულკანი
გ) ვირი

**ვერტმფრენი**

ა) ვერტმფრენი
ბ) ვაშლი
გ) ვეშაპი

**ვაზი**

ა) ველოსიპედი
ბ) ვულკანი
გ) ვაზი

## იპოვე სიტყვები და გააფერადე:

ელვა, ფეხბურთი, ცურვა, ვარჯიში, კარატე, ვაშლი.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფ | ე | ხ | ბ | უ | რ | თ | ი |
| ც | ა | ბ | გ | ა | ე | ვ | ა |
| უ | ბ | კ | ა | რ | ა | ტ | ე |
| რ | დ | ა | ვ | ა | შ | ლ | ი |
| ვ | გ | დ | ა | ე | ლ | ვ | ა |
| ა | ვ | ა | რ | ჯ | ი | შ | ი |

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## ᲓᲐᲬᲔᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

დევი ზაზა ზეზვა დაზგა

## ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ:

ზოოპარკი

ზებრა

ზღარბი

ზამთარი




## ᲓᲐᲮᲐᲢᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ:

ზებრა ზაფხული

## ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘ:

ვ ზ ა ზ ვ ე

ზ დ ბ ზ ვ

ვ ზ ვ

## გახაზე ზ ასოზე დაწყებული სიტყვები:

ზებრა, ვაზი, ზუთხი, თევზი, ზარი.

## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

გზაზარიგაზეთიკოვზითევზი

## გადახაზე ზედმეტი სიტყვა:

ზოოპარკი, ზარი, გაზეთი, ზებრა, ზვიგენი, ზღვა.

## იპოვე ერთნაირი სიტყვები და შემოხაზე:

ზარი, ბზიკი, ნიგოზი, გოზინაყი, ზარი, საზღვარი, ზარი.

## გააფერადე ნახატები; დაასახელე სიტყვები და თქვი – რა აქვთ საერთო:


















**დააკვირდი სურათს და სურათის ქვემოთ მინაწერს; შემოხაზე შესაბამისი სიტყვა:**




ა) ვარდი
ბ) ზოოპარკი
გ) ზაზუნა



ა) ზოოპარკი
ბ) ზარი
გ) გზა



ა) ველოსიპედი
ბ) ვულკანი
გ) ვაზი

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

# თ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## დაწერე სიტყვები:

თვე გზა ზაზა თეა

დეა ევა

## დახატე სიტყვა:

თათი

თავი

## იპოვე და შემოხაზე ერთნაირი ასოები:

ზ ა თ ე

გ დ ბ თ

თ ვ

## ასოებისგან შეადგინე სიტყვები:

ა) ზ გ ა   ბ) ვ თ ე   გ) ა ზ ზ ა

## იპოვე და გახაზე თ ასოზე დაწყებული სიტყვები:

მთა, თბილისი, ათი, თათი, თევზი, ნავი, თაფლი,
თავსაფარი, თასმა, თათი, ანძა, თეფში.

## იპოვე ერთნაირი სიტყვები:

თვე, თავი, ველოსიპედი, თვე, ვარდი, თავი, თაფლი.

## გააფერადე ნახატები:











## შემოხაზე ნახატის შესაბამისი სიტყვა:







ა) თვე
ბ) თეატრი
გ) გზა

ა) თვითმფრინავი
ბ) ვაშლი
გ) ბურთი

ა) თეატრი
ბ) თაიგული
გ) თუთა

## ჩაწერე გამოტოვებული ასოები:



-ხ-



- -ი-ული



- უ-იყუში



- - - - ი

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

## დაწერე სიტყვები:

ია ათი თათი თითი

თივა თევზი

## დააკავშირე სიტყვა ნახატთან:

თევზი

ია

თითი

თითა



## იპოვე ასო ი და გააფერადე:

თ ი ვ ა ვ ი

## დახატე სიტყვა:

ია

თევზი

## აღადგინე სიტყვები:







- - ს - მ - ნ -

- ნ - - უ რ -

- - ლ ქ - ნ -

## იპოვე და შემოხაზე ერთნაირი ასოები:

ი ა ი ე გ

ზ ბ თ ი დ

## გახაზე ი ასოზე დაწყებული სიტყვები:

თავი, ირემი, ცა, ზებრა, ისარი, კითხვა,

იალქანი, ანბანი, ძეგლი.

### ხაზებით გამოყავი სიტყვები:

თევზიიაათითათითითითივა

### გააფერადე ის ფიგურები, რომლებშიც წერია ასო ი:

დედა ენა

ბურთი

თვე

ფერი

### რომელ წიგნში იმალება ასო „ი“?




### ტექსტში შემოხაზე ასო ი:

ია და ირაკლი ქართულ ანბანს სწავლობენ.
ქართული ასოები ლამაზია.

### დაწერე კარნახით:

ია

ათი

თათი

თითი

თივა

თევზი

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

# ვ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

## დაწერე სიტყვები:

კიბე

კივი

ვაკე

თიკა

ბზიკი

## დააკავშირე სიტყვა ნახატთან:

კატა

კენგურუ

კურდღელი

კუ



## იპოვე ასო კ და გააფერადე:

თ კ ს კ

კ ი კ

## დახატე სიტყვა:

კოვზი

კნუტი

## აღადგინე სიტყვები:



- - - - ლ -



- ო - - ლ -



- - რ ტ ო ფ - - -



- - - -

## იპოვე და შემოხაზე ერთნაირი ასოები:

ზ ი ა ვ ე კ

გ ი კ ზ ბ ი ვ

კ ა ვ ი კ ვ

## გახაზე კ ასოზე დაწყებული სიტყვები:

კარი, ვარდი, კუ, კარადა, ბურთი, ზარი.

## ᲐᲙᲝᲕᲜᲘᲜᲔ ᲦᲠᲣᲢᲣᲜᲐᲡ ᲠᲙᲝ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲣᲠᲔᲕᲘᲐ ᲐᲡᲝ „Კ“




## ᲮᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

კიბეთითიკივითათივაკეთიკაბზიკი

## ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ:



## ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲔ:

კატო და კეკე კაფეში
შევიდნენ. ისინი კუთხეში
დასხდნენ.
კატომ მენიუ მოითხოვა.

## ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ:

მიმტანი, მენიუ, მაგიდა, დადო.

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## დააკავშირე სიტყვა ნახატთან:

ლიმონი

ლომი

ლამბაქი

ლოკოკინა

ლეღვი



## იპოვე ასო ლ და გააფერადე:

თ ვ ბ ლ ვ

ლ დ ი ე

## დაეხმარე ლ ასოს, რომ ბილიკით მივიდეს ლიმონთან:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლ | ლ | ბ | ა | დ |
| ვ | ლ | გ | თ | ი |
| ი | ლ | ლ | ზ | ა |
| ზ | გ | ლ | დ | ბ |
| თ | კ | ლ | ლ |  |

## იპოვე ლ ასოზე დაწყებული სიტყვები და შემოხაზე:

ვარდი, ლეოპარდი, ვიოლინო, ლაბირინთი, ლერწამი, დათვი, ველოსიპედი, ლამბაქი, სავარცხელი, ყულაბა.

## დაეხმარე ასოებს, იპოვონ საკუთარი ადგილი:

ა) ა ბ ი ლ

ბ) ვ ი თ ა ლ

გ) ვ ე ი ლ გ

## გახაზე არასწორი სიტყვა:

ბაალი, ბელი, ელვა, ვეალი, ლეკვი, თივალი.

## ჩაწერე გამოტოვებული ასოები:



რ - - უ - ი



- - ლ ო ს ი პ - - ი

## შემოხაზე შესაბამისი სიტყვა:



ა) ლარნაკი
ბ) ლომი
გ) ვაშლი



ა) ვაშლი
ბ) ბალი
გ) ბელი



ა) ბალი
ბ) ვაშლი
გ) ვულკანი

## გააფერადე ყველა ლ ასო:

ლარნაკში ლამაზი
ლილია დევს.

## გადაიხატე წინადადება:

ლელას ლეკვი ყეფს.

## დახატე ლეკვი:

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## დააკავშირე სიტყვა ნახატთან:











მაიმუნი

მუხა

მერცხალი

მამალი

მთა

მაგიდა

გემი

მელია

მთვარე

## იპოვე ასო მ და გააფერადე:

ვმწდმლმაიგბმაემ

## იპოვე და გახაზე სიტყვები, რომლებიც იწყება მ ასოზე:

მამალი, ირემი, მზე, ველოსიპედი, მერცხალი, კურდღელი.

## შემოხაზე ის საგნები, რომელთა წარმოთქმისას გესმის ბგერა მ:






## ჩასვი გამოტოვებული ასოები:









ირე-ი ბ-ჰე-ოთი -ა-რატე-ი -ა-ა-ი

## დაალაგე ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვები:

ა თ მ ი ე ლ მ ა ი ე გ მ

## დააკვირდი და დაწერე ნახატის შესაბამისი სიტყვა:



## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

ლომილიმონიგემითევზიმელია

## შეადგინე სიტყვებისგან წინადადებები და გადაიწერე:

იასამანი, მათე, ლამაზი, მეთევზე, მთვარე, მელია.

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

# ნ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

ა ს ნ

## გამოწერე სიტყვები:

ნავი ნალი ნაბადი

## დააკავშირე სიტყვა ნახატთან:

ნაყინი
ნიგოზი
ნიანგი
ნაძვი
ნიღაბი
ნესვი
ნემსიყლაპია



## დახატე სიტყვა:

ნიანგი

## ჩაწერე გამოტოვებული ასოები:



_ ი _ _ გ ი



_ ა ყ _ _ _



_ ე მ ს _ ყ _ ა პ _ ა

## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

გემიბადენავითევზინაბადინალი

## დაალაგე ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვები:





მ ე ი გ     ნ ს კ ი ე ა     ს ე ვ ნ ი

## შემოხაზე ნახატის შესაბამისი სიტყვა:





ა) ნათურა
ბ) ნავი
გ) ნიორი

ა) ნოტი
ბ) ნესვი
გ) ნიკაპი

ა) ნაზუქი
ბ) ნამცხვარი
გ) ნაძვი

## წინადადებაში ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

1) ნოდარი გემის ..... .

ა) დგას
ბ) კაპიტანია

2) ნავსადგურში არის ბევრი ...... .

ა) ნაძვი
ბ) გემი

## ცხრილში იპოვე და გააფერადე სიტყვები:

ნიღაბი, ნალი, ნათურა, ნამცხვარი, ანკესი, ლანგარი.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნ | ბ | დ | ე | ვ | ე | ვ | თ | ნ |
| ი | გ | ნ | ა | ლ | ი | ზ | ი | ა |
| ღ | ზ | თ | ი | მ | გ | კ | ლ | მ |
| ა | თ | კ | ლ | ნ | დ | მ | ნ | ც |
| ბ | ი | ა | ნ | კ | ე | ს | ი | ხ |
| ი | კ | დ | ზ | ა | ე | ნ | ბ | ვ |
| ლ | ა | ნ | გ | ა | რ | ი | ა | ა |
| მ | ა | ბ | ვ | დ | ვ | ზ | ლ | რ |
| ნ | ა | თ | უ | რ | ა | თ | კ | ი |

## დააკავშირე ასო ნახატთან:

ბ ზ

ნ ა

თ



## მოცემული სიტყვებისგან შეადგინე წინადადება:

1) ნოდარი, გემი, კაპიტანი.

2) ფოთი, ნავსადგური, დიდი.

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## დააკავშირე სიტყვა ნახატთან:



ობობა

ფოტო



ოფოფი



## იპოვე ასო ო და გააფერადე:




## დახატე მოცემული სიტყვები:

დედა

მამა

## ჩაწერე გამოტოვებული ასოები:

(ონკანი – ნიანგი)   (ოფოფი – ნაყინი)   (ობობა – ნემსიყლაპია)

_ ნკ _ _ _ ი   _ ფ _ ფ _   _ ბ _ ბ _

## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

ოჯახიდედამამაბებიაბაბუა

## დაალაგე ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვა:



ო ბ ა ბ ო



ო კ ა ნ ი ნ



ა მ ა მ

## შემოხაზე ნახატის შესაბამისი სიტყვა:



ა) ოქრო
ბ) ორი
გ) ოთხი



ა) ოთკუთხედი
ბ) ორცხობილა
გ) ოცი



ა) ორაგული
ბ) ობობა
გ) ორანგუტანი

## წინადადებაში ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

1) ეს ჩემი ოჯახის ..... .

ა) ოფოფი
ბ) ფოტოა

2) ჩემი ოჯახი ...... .

ა) სახლი
ბ) დიდია

## ცხრილში იპოვე და გააფერადე სიტყვები:

ოჯახი, ორმოცი, ოთახი, ოქრო, ოლიკო.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ო | ბ | დ | ე | ვ | ე | ვ | თ | ო |
| ჯ | გ | ო | თ | ა | ხ | ი | ი | ლ |
| ა | ზ | თ | ი | მ | გ | კ | ლ | ი |
| ხ | თ | კ | ლ | ნ | დ | მ | ნ | კ |
| ი | ი | ო | ქ | რ | ო | ს | ი | ო |
| ო | რ | მ | ო | ც | ი | თ | კ | ი |

## დააკავშირე ასო სურათთან:

დ

მ

ბ





დ

ვ





## მოცემული სიტყვებისგან შეადგინე წინადადება:

1) მე, ოჯახი, დიდი, მყავს.

2) უფროსი, მე, შვილი, ვარ.

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

პ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:

პ

დაწერე ასო:

## გამოწერე სიტყვები:

პური პეპელა პანდა პინგვინი

## იპოვე ასო პ და გააფერადე:




## იპოვე და გადახაზე სიტყვები, რომლებიც იწყება პ ასოზე:

სოსისი, პეპელა, ჩაი, პური, ყავა, პალმა.

## იპოვე ასო პ და შემოხაზე:

ა ბ ე დ რ ფ დ პ ფ გ რ ჰ რ ჰ პ ფ პ პ დ გ ე რ პ ფ ე ფ პ ს ე ვ ქ პ ქ ზ ხ ც დ ს ა პ

## დაალაგე ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვა:



მ ი ტ ა ა



ლ ი ა ხ მ ს



შ ვ ი ა ლ

## ჩაწერე ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვა:





ომიდორი

როკოლი

ტაფილო

ადრიჯანი





## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

პირამიდაპირბადეპოლიციაპიჯაკიპარაშუტი

## მოცემული სიტყვებისგან შეადგინე წინადადება:

პაპა, სუპერმარკეტი, პროდუქტი, პიცა.

## ᲘᲞᲝᲕᲔ ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პ | ე | პ | ე | ლ | ა |
| უ | ს | ა | ხ | ზ | ხ |
| რ | ო | პ | დ | ფ | ც |
| ი | გ | ა | ყ | უ | წ |
| დ | ჰ | პ | ა | პ | ა |
| პ | ა | ნ | დ | ა | ნ |
| პ | ა | ლ | მ | ა | ქ |

პეპელა

პური

პანდა

პალმა

პაპა

## ᲓᲐᲬᲔᲠᲔ Პ ᲐᲡᲝᲖᲔ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

**დააკვირდი ასოს მოხაზულობას:**



**დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:**




**დაწერე ასო:**



## გამოწერე სიტყვები:

ქოლო ქელე ქანგი ქუქუნა

## იპოვე ასო ქ და გააფერადე:




## დახატე:

ქირაფი

## ჩაწერე გამოტოვებული ასოები:



_ ღ _ რ ბ _



_ _ რ _ ღ _ ლ _



პ _ _ დ ა

## იპოვე სიტყვებში ერთნაირი ასოები და შემოხაზე:

1) ირემი 2) კოალა 3) კენგურუ 4) ვეფხვი

## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

ლ ო მ ი თ ა გ ვ ი მ ე ლ ი ა კ უ რ დ ღ ე ლ ი ჟ ი რ ა ფ ი

## შემოხაზე ნახატის შესაბამისი სიტყვა:



ა) ჟირაფი
ბ) ობობა
გ) კენგურუ



ა) დათვი
ბ) მელია
გ) ლომი



ა) პანდა
ბ) თხუნელა
გ) ციყვი

## წინადადებაში ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

1) ჟოზე და ........... ბავშვების საყვარელი ჟირაფები არიან.

ა) ჟოზეფინა
ბ) ჟანა

2) ჟოზემ ჟანას ........... ასწავლა.

ა) ჟელეს მომზადება
ბ) ჟონგლიორობა

## ცხრილში იპოვე და გააფერადე სიტყვები:

ჟეტონი, ჟალუზი, ჟანგი, ჟელე, ბაჟე.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჟ | ბ | დ | ე | ვ | ე | ვ | თ | ჟ |
| ე | გ | ბ | ა | ჟ | ე | ი | ი | ა |
| ტ | ზ | თ | ი | მ | გ | კ | ლ | ნ |
| ო | თ | კ | ლ | ნ | დ | მ | ნ | გ |
| ნ | ი | ჟ | ე | ლ | ე | ს | ი | ი |
| ი | კ | დ | ზ | ა | ე | ნ | ბ | ვ |
| ჟ | ა | ლ | უ | ზ | ი | თ | კ | ი |

## ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ:

1) ჟოლო, მე, შევჭამე.

2) ვიყიდე, მე, ჟურნალი.

## ᲓᲐᲮᲐᲢᲔ ᲟᲘᲠᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ:

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## გააფერადე:



## გააფერადე ასო რ-ზე დაწყებული ნახატი:



## მოძებნე და შემოხაზე ასო რ:

ფეხბურთი, გარგარი, რადიო, მრავალსართულიანი, რკინიგზა.

## დათვალე სიტყვებში ასო რ:

რესტორანი, ცხრამეტი, რეპორტიორი.

## ᲩᲐᲬᲔᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | | 3 | | 5 |
| 6 | 7 | | | 10 |
| | | 13 | | |
| 16 | | | 19 | |
| | | | 24 | |

## ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲔ:

რვა რკო — ორი გოგონა — ერთი მთვარე

## ᲘᲙᲝᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔ:

მრავალი, ბევრი, უამრავი, ცოტა, ათასი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ | რ | ა | ვ | ა | ლ | ი |
| დ | ტ | ც | ო | ტ | ა | უ |
| ბ | ჰ | ა | თ | ა | ს | ი |
| ხ | ბ | ე | ვ | რ | ი | ყ |
| უ | ა | მ | რ | ა | ვ | ი |

## დააკავშირე რიცხვითი სახელი შესაბამის რიცხვთან:

| | |
|---|---|
| ერთი | 2 |
| ორი | 1000000 |
| რვა | 1 |
| ათი | 10 |
| მილიონი | 8 |

## წაიკითხე და დათვალე:







შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

## გააფერადე:



## მოძებნე და შემოხაზე ასო ს:

ს ხ ს მ ძ ფ ს ხ წ ხ ჰ შ ჟ

რ ლ ს ხ კ ძ ხ ნ ძ ო ს ძ

ჭ ს ხ ს ხ ძ ჯ ქ რ ტ ს ი კ პ დ

## დააკავშირე ნახატი ნაწერთან:

სკამი

სიმინდი

სათვალე

საათი

სარკე



## ჩაწერე სიტყვები:

სასადილო, კიბე, კედელი, აბაზანა, სამზარეულო



## გადახაზე ზედმეტი სიტყვა:

სკამი, სკა, კარი, საზამთრო, საათი.

## დაასრულე სიტყვა:

სახ.., საზამ..., სიმინ.., სურა.., საა.., სათვა..,

სანთე.., სკა...

## გადაწერე წინადადება:

აი სამი სოკო.

**წაიკითხე:**

ეზოში დგას სამი სკა.

სკებთან ახლოს ხარობს სიმინდი.



შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## გააფერადე:



## სიტყვებში ჩაწერე გამოტოვებული ასო:






-ორ-ი  -რაქ-ორი  -ურის-ი  -ი-ა

## დააკავშირე ნახატი ნაწერთან:

ტელევიზორი

ტელეფონი

ტორტი

ტაფა

ტაქსი



## გააფერადე იმდენი უჯრა, რამდენი ტ ასოც არის სიტყვაში:

ფოტოგრაფი ☐☐☐ ტრანსპორტი ☐☐☐ ტრაქტატი ☐☐☐

## წაიკითხე და დახატე:

ტორტი, ავტობუსი, ტიტა, ტურისტი.

## შეადგინე სიტყვები:

ვი ტი ტი ხი ტა ტორ

## ცხრილში იპოვე სიტყვები და გააფერადე:

მყვინთავი, მზარეული, ექიმი, მფრინავი, მეხანძრე.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მ | ყ | ვ | ი | ნ | თ | ა | ვ | ი |
| კ | ტ | ე | ქ | ი | მ | ი | ხ | ა |
| ს | მ | ე | ხ | ა | ნ | ძ | რ | ე |
| მ | ფ | რ | ი | ნ | ა | ვ | ი | ტ |
| ე | მ | ზ | ა | რ | ე | უ | ლ | ი |

## წაიკითხე და დახატე:

ტატო და ტასო ტყუპები არიან. მათ ტიტესთან ერთად ტყეში ლაშქრობა დაგეგმეს. ლაშქრობისას ტყის ნაპირთან ტბა ნახეს. ტბასთან ბევრი ტირიფის ხე იდგა. ტატომ, ტასომ და ტიტემ ტყეში ხმელი ტოტები შეაგროვეს და ტბასთან ცეცხლი დაანთეს.

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## გააფერადე:



## დახატე უ ასოზე დაწყებული საგნები:

## წაიკითხე და მიუთითე სურათის ნომერი:



აი უთო.



ეს უდაბნოა.



აი ურნა.

## დაასრულე წინადადება:

ეს არის თბილისის  .

## გამოიცანი და ჩაწერე სიტყვები:







## დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში:

| მხოლობითი რიცხვი | მრავლობითი რიცხვი |
|---|---|
| ვარსკვლავი | |
| პლანეტა | |

## დაასახელე და დახატე უ ასოზე დაწყებული პლანეტის სახელი:

## გადაიწერე წინადადება:

ურანი პლანეტაა.

## დაწერე სამი წინადადება:

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## გააფერადე:



## დახატე ფ ასოზე დაწყებული საგნები:

## იპოვე და შემოხაზე ასო ფ:

### ფიფქი

მე ფიფქი ვარ ერთი ციდა,
ჩამოვფრინდი ახლა ციდან
და მინდა, რომ მოგესალმოთ,
მსურს გახაროთ ამ სცენიდან:
მალე სხვა ფიფქებიც მოვლენ,
გათეთრდება ჩვენი მხარე,
და ბავშვების ჟრიამულით
გაიღვიძებს არემარე.

## ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წ | ი | თ | ე | ლ | ი | ე |
| ე | ფ | ე | შ | ა | ვ | ი |
| ბ | უ | თ | ფ | ე | რ | ი |
| ლ | უ | რ | ჯ | ი | ზ | რ |
| ყ | ვ | ი | თ | ე | ლ | ი |

წითელი
თეთრი
ლურჯი
ყვითელი
შავი
ფერი

## ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲔ:

მზე ყვითელია.

პომიდორი წითელია.

ფოთოლი მწვანეა.

## ᲓᲐᲬᲔᲠᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲘ:









## ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲤᲔᲠᲗᲐᲜ:

| | |
|---|---|
| ცა | ფერადი |
| მზე | თეთრი |
| ბალახი | ლურჯი |
| თოლია | მწვანე |
| ზღვა | ყვითელი |
| ცისარტყელა | ცისფერი |

## ᲓᲐᲬᲔᲠᲔ ᲝᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ:

შეაფასე შენი ნაშრომი:





**დააკვირდი ასოს მოხაზულობას:**



**დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:**




**დაწერე ასო:**



## გააფერადე:



## გამოწერე სიტყვები:

ქვა ქოლგა ქათამი ქალი

## მოძებნე ასო ქ და შემოხაზე:



## დააკავშირე ნაწერი ნახატთან:

ქოლგა



ქათამი



ქალი



ქუდი



## შემოხაზე ქ ასოზე დაწყებული სიტყვები:

ქვევრი, ქოქოსი, ქვაბი, ქალი, ქალაქი.

## ხაზებით გამოყავი სიტყვები:

ქვატაქსიქუსლიკინოქალაქიქლიავი

## ჩაწერე გამოტოვებული ასო:



_ო_ოსი



_უდი



_ვევრი

## დაალაგე ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვა:



ქ რ უ თ კ უ ი



ქ ი ვ ბ ა



ქ დ უ ი

## წაიკითხე წინადადება და დახატე:

ქალაქში მაღალი კორპუსებია,

სოფელში კი – ორსართულიანი კერძო სახლები.

## შემოხაზე ნახატის შესაბამისი სიტყვა:



ა) ქალაქი
ბ) ქვაბი
გ) ქარხანა



ა) ქუდი
ბ) ქამარი
გ) ქლიავი



ა) ქვა
ბ) ქოლგა
გ) ქურთუკი

## ჩასვი წინადადებაში გამოტოვებული სიტყვა:

1) სოფელთან დიდი ...... .

ა) კორპუსია
ბ) ტყეა

2) ქალაქი სოფელზე ...... .

ა) პატარაა
ბ) დიდია

## გააფერადე ნახატი, რომლის სახელწოდებაშიც არის ასო ქ:











დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



**ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ:**



**ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:**

ღვინო ღამე ღამურა

ᲛᲝᲫᲔᲑᲜᲔ ᲐᲡᲝ ღ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔ:



ᲮᲐᲖᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

ღრუბელივაზიღვინოღორიყურძენიმტევანი

## მოძებნე ნახატის შესაბამისი სიტყვები და შემოხაზე:



ღორიღამეღამურაღორიღილი



ღამურაღუმელიღამურაღრუბელიღილიღამურა

## დახატე სიტყვა:

ღრუბელი

ყურძნის მტევანი

## დაალაგე ასოები ისე, რომ მიიღო სიტყვა:



ღზუა



ღიილ



ღბოე

## გადახაზე ზედმეტი სიტყვა:

ღილი ღამურა
ღამე
ღვინო ყურძენი

წაიკითხე წინადადება და დახატე:

– პაპა, პაპა, ყურძნით სავსე გოდრები მოიტანეს!

– ყურძენი ახლა საწნახელში ჩავყაროთ!

## წინადადებაში ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

1) ძველი ღვინო უფრო ...... .

ა) ცუდია
ბ) გემრიელია

2) ქართულ ღვინოს ინახავენ ......... .

ა) ქვევრში
ბ) ბოთლში

## ცხრილში იპოვე სიტყვები და გააფერადე:

ღვინო, ღრუბელი, ღამურა, ღუზა, ღამე.

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ღ | ე | ღ | ვ | ი | ნ | ო | ი | ვ | ი |
| რ | ღ | რ | უ | ბ | ე | ლ | ი | თ | ღ |
| ბ | ი | ღ | ა | მ | ე | ღ | ო | პ | მ |
| ე | რ | ღ | ა | მ | უ | რ | ა | დ | უ |
| უ | ფ | ღ | უ | ზ | ა | თ | ი | ღ | პ |

## დაასრულე ფრაზები:

ა) ღვინის _______________;

ბ) ყურძნის _______________;

გ) წითელი _______________;

დ) პაპა ყურძენს _______________;

კრეფს, ბოთლი, ღვინო, მტევანი.

დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

ყ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:

## გააფერადე:

ყ

## იპოვე სიტყვა და შემოხაზე:

ყოჩივარდაენვმკუქრუესყვავილიდგკტოყჯვმზლცდარბჯტიტა

## დაასახელე ყ-ზე დაწყებული ყვავილების სახელები:

| | | |
|---|---|---|
| მიხაკი | მზესუმზირა | ყოჩივარდა |
| ზამბახი | ვარდი | ყაყაჩო |

## შეადგინე სიტყვები:

ე ღ ო რ

ა ა ლ კ

ქ ტ ა კ ს უ ი

ნ ე ძ ლ ე ა

ე ფ ვ ი ს

ქ რ ო დ ე ი ა

## წაიკითხე სიტყვა და დააკავშირე ნახატთან:







თაიგული ვარდი ია

## ჩაწერე გამოტოვებული ასო:

მიხა_ი ყუ_ი ყვავ_ სა_ურე ყ_ლაბა ყურ_ენი ყე_ი

## შეადგინე წინადადებები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ყვავილი | ლამაზია | | |
| | | | |
| | | | |

## ჩასვი გამოტოვებული სიტყვა:

ყვავილებისაგან ლამაზ .............. ამზადებენ.

1. ყვავილს 2. თაიგულს 3. ღერო

## წაიკითხე რებუსი:


-ლნარი

ყა-


## დაწერე ერთი წინადადება:



შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

შ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## გააფერადე:



## გამოწერე სიტყვა:

შეშა

## გამოწერე წინადადება:

შოთამ შეშა შეაგროვა.

## გამოიცანი სიტყვა:







## რომელია ზედმეტი:

ა) ბატი, იხვი, ქათამი, ინდაური, კატა.

ბ) ძაღლი, ვირი, ძროხა, ცხვარი, მამალი.

გ) ჭუკი, ჭუჭული, წიწილა, კარადა.

დ) შარვალი, შორტი, კაბა, მაისური, შანდალი.

## გახსენი შიფრი და იპოვე სიტყვა:

8561 – შოთა 8562 – 917872 – 8381 – 81872 –

| | | |
|---|---|---|
| ა-1 | ი-2 | ე-3 |
| უ-4 | ო-5 | თ-6 |
| ვ-7 | შ-8 | ბ-9 |

## იპოვე და გაასწორე შეცდომები:

წველი გარეული ცხოველია. ის ძალიან ლამაზი, მჭვიდი და მწიშარაა. წინაური ცხოველებიდან მე ცხენი მომწონს. ამიტომაც მე თავლასი ზავი ცხენი მყავს. ის მეგობრული და მწვენიერი ცხოველია. ჩემს ცხენს შაქარა დავარქვი.

## ამოიწერე შ-ზე დაწყებული სიტყვები:

შორენა და შოთა და-ძმა არიან. შორენა უფროსია, შოთა უმცროსია. შორენას შავი ფერის სამოსი აცვია, შოთას – თეთრი. შორენა მშვიდია, შოთა  ბრაზიანია. შორენას შაქრიანი საკვები უყვარს, შოთას – მარილიანი. შორენა დაბალია, შოთა – მაღალი.

## შეცვალე პირველი ასო და მიიღე ახალი სიტყვა:

შალი ➡➡➡ სალი ➡➡➡

## შეუსაბამე სიტყვები ერთმანეთს:

| | |
|---|---|
| ძაღლი | დინგი |
| ცხენი | ბუმბული |
| ღორი | თათი |
| ფარშავანგი | ფაფარი |

## შემოხაზე შინაური ცხოველები:

ძაღლი, ლომი, ვეფხვი, კატა, მაიმუნი, სპილო, ღორი, ჟირაფი, ცხენი, ზებრა, ცხვარი, თხა.

## დახატე 3 გარეული ცხოველი:

## დაწერე ერთი წინადადება:

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## გააფერადე:

ჩ

## დაწერე სიტყვები:

ჩაი ჩურჩხელა ჩოჩორი

## რომელი ბავშვი რომელ ბგერას წარმოთქვამს? დააკავშირე:




## იპოვე ასო ჩ და გააფერადე:

კ ა დ ვ ჩ ტ ბ ჩ ს ნ

## ჩაწერე გამოტოვებული ასო:



-აქუ-ი



-ურ-ხელა



-ანთა

## შეადგინე სიტყვები:

ა) ი ა ჩ ბ) ი ა ჩ ქ ჩ უ გ) დ ა ჩ ი ნ ი ა

## წაიკითხე წინადადებები:

ნიამ და თაიამ  მიირთვეს.

ვირის შვილს  ჰქვია.

## როგორია საგანი?

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩანთა | მძიმეა | ცხელია | ჩუმია |
| ჩირი | გრძელია | გემრიელია | თბილია |

## დანომრე წინადადებები. ყოველი წინადადების ბოლოს დასვი წერტილი:

მე და სოფია დები ვართ სკოლაში ერთად მივდივართ ჩემი დის ჩანთა პატარა და ლურჯია ჩემი ჩანთა დიდია და მძიმე ნინო ჩვენი მეზობელია ნინო სკოლაში ადრე მიდის ბავშვები ეზოში ბურთს თამაშობენ ცუგა მეგობრებს ქუჩაში ელოდება.

## დაალაგე წინადადებები თანმიმდევრობით:

- დაჩიმ ჩაქუჩი ჩანთაში ჩაიდო.
- ბაბუა ნოდარმა დაჩის ჩაქუჩი აჩუქა.
- სახლში რომ მივიდა, დაჩიმ საჩუქარი მამას აჩვენა.

## წაიკითხე და გადაიწერე სიტყვები:

გაითვალისწინე, რომ ყველა ბოლო ასო მომდევნო სიტყვის პირველი ასოა

მ ზ ე ნ ა ს ო თ ა ხ ი ნ დ ა უ რ ი

## დაწერე ერთი წინადადება:

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

# ც

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## გააფერადე:

ც

## ჩაწერე წინადადება:

ცა ცისფერია.

## იპოვე დამალული ასო:

ეკვა

ელი

იგა

## დააკავშირე სიტყვები ილუსტრაციებთან:

ჩოხა-ახალუხი

ქამარი



ხანჯალი

ყაბალახი

ფაფახი



## გამოიცანი რომელი ცეკვაა:







**ჩასვი გამოტოვებული ასო:**

-ხვარი, -ხვირი, -ა-ხვი, -იგა, -ე-ხლი, -ისარტყელა,

-არ-ი, -ი-არი.

**შეადგინე სიტყვები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინცხე | ცხიცო | ნათელაციცი | იყვიც |
| ----- | ----- | --------------- | ----- |

## იპოვე და შემოხაზე სიტყვა ცა:

მაღალიცაცხვირიციცინათელამზეცანიავიცაცეცხლიმთვარეცა

## წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს:

ნუცა ცეკვაზე დადის. ის ქართულ ცეკვებს სწავლობს. მას მოსწონს გრძელი თეთრი კაბა და ლამაზი ფატა. ნუცასთან ერთად საბაც ცეკვავს. მას ჩოხა-ახალუხი აცვია.

სად დადის ნუცა?

რომელ ცეკვებს სწავლობს ნუცა?

რა აცვია ნუცას ცეკვის დროს?

ვისთან ერთად ცეკვავს ნუცა?

რა აცვია საბას ცეკვის დროს?

## დაეხმარე ბიჭს საცეკვაო ფორმის შერჩევაში:




## რებუსი:

ცის - 

მერცხ - 

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

# ძ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

## გააფერადე:

ძ

## გამოწერე სიტყვა:

ძიძა

## გამოწერე წინადადება:

ძაღლმა ძვალი იპოვა.

## დააკავშირე ნაწერი ნახატთან:

ჭიდაობა

ჭადრაკი

ფეხბურთი

კალათბურთი

ფრენბურთი

ხელბურთი

რაგბი









## რომელი ასოა დამალული?




## ცხრილში იპოვე სიტყვები და გააფერადე:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ძ | ძ | რ | ო | ხ | ა |
| ე | ა | შ | ი | ბ | ე |
| რ | ფ | უ | ვ | გ | ძ |
| ა | ი | ნ | კ | ტ | ვ |
| ძ | ვ | ე | ლ | ი | ა |
| მ | ძ | მ | ა | ო | ლ |
| ო | ჯ | კ | ხ | დ | ი |

ძროხა

ძერა

ძაფი

ძველი

ძვალი

ძმა

## წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს:

ძიძამ ძმები და ძაღლი სასეირნოდ წაიყვანა. ქუჩაში ძაღლმა ძველი ძვალი იპოვა. ძმებმა და ძაღლმა ძიძასთან ერთად დიდხანს ითამაშეს.

– სად წაიყვანეს ძმებმა ძაღლი? ..........................................

– რა იპოვა ძაღლმა ქუჩაში? ..........................................

– ვინ იყო ძმებთან ერთად? ..........................................

**ამოიწერე ტექსტიდან ძ ასოზე დაწყებული სიტყვები:**

## გამოიცანი და დაწერე:






## გადაწერე სიტყვები, რომლებიც იწყება ძ ასოზე:

ძმა, ხმა, და, ძვალი, ხილი, ძილი, ძაღლი, ხმალი, ძალა.

## დაიცავი კანონზომიერება – მონიშნე ზედმეტი სიტყვები:

ა) წყალბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ჭიდაობა.

ბ) მსაჯი, ფორმა, სტადიონი, ფეხბურთელი, ძეხვი.

გ) ფაჩულია, ტალახაძე, კვარაცხელია, ძაფი.

## რებუსი:

ძ - 

ძვ - 

## გამოიცანი სიტყვა:






დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

ე ნ ჭ

## გააფერადე:



## დააკავშირე სიტყვები ილუსტრაციებთან:



წიწილა

წერო

წაბლი

წიგნი

წრუწუნა

წიწაკა

წერილი

წამალი

წყალი

**შეავსე გამოტოვებული ასო:**

-ი-ილა -ერო -ყალი -იგნი -ი-აკა -ერილი

-ამალი -ითელი -აბლი

## შეადგინე სიტყვა:

იმაწვ----　　ნიწიგ----　　ლითეწი----

რიწელი----　　როწე----

## დააკავშირე სახელები ფერებთან:

| | |
|---|---|
| წერო | წითელი |
| წიწილა | ყვითელი |
| წიწაკა | ყავისფერი |
| წაბლი | გამჭვირვალე |
| წყალი | თეთრი |

## გამოყავი ხაზებით სიტყვები:

შეშამუშაწიგნიმამაქაძაფიწიწაკაძროხაქოლგაწყალიშოშია

წაბლიძმაწრუწუნა

## დამარცვლე სიტყვები და დაითვალე ასოების რაოდენობა:

**ასევე, დაითვალე ხმოვანი და თანხმოვანი ასოების რაოდენობა ცალ-ცალკე:**

| სიტყვა | მარცვალი | ასოების რაოდენობა | თანხმოვნების რაოდენობა | ხმოვნების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| წაბლი | | | | |
| წერო | | | | |
| წერილი | | | | |
| წითელი | | | | |
| წყალი | | | | |

## მოიფიქრე და ჩაწერე 3 სიტყვა, რომლებიც იწყება წ ასოზე:

## ბიბლიოთეკაში დაალაგე ის წიგნები, რომელთა სათაურებიც იწყება წ ასოზე:

მიო,
ჩემო მიო



## რებუსი:

წითელ–  'ა

მწერ– 

წყ– 

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:

## ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ:



## ᲓᲐᲬᲔᲠᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ:

ჭა

## ᲓᲐᲬᲔᲠᲔ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ:

ჭინჭრისა და ჭარხლის ფხალი გემრიელია.

## ᲘᲞᲝᲕᲔ ᲐᲡᲝ Ჭ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲮᲐᲖᲔ:

ჭ უ ფ ზ უ ს ძ

დ ჭ ხ კ უ ბ ფ ს ხ ძ ჭ

ლ ფ უ ე ჭ ძ ყ ქ ბ უ ჭ ს უ

## დააკავშირე სიტყვები ნახატებთან:






ხაჭაპური

ჭარხალი

ჭინჭარი




ჭიამაია

ჭიანჭველა

ჭვიშტარი

## შეცვალე ჭ ასო და მიიღე ახალი სიტყვები:

ჭალა – მალა ჭორი – ჭაჭა – ჭია –

## შეადგინე წინადადებები:

ჭიანჭველა

მწერია

კუჭმაჭი

ბოსტნეულია

ჭარხალი

საჭმელია

## ჩასვი სიტყვები ნიმუშის მიხედვით და მიღებული ახალი სიტყვები გამოწერე:

ქამა, სმა, ქკუა, ფხა, ხასიათი

| | | |
|---|---|---|
| უ | ქმ | ელი |
| უ | | ელი |
| უ | | ო |
| უ | | ო |
| უ | | ო |

## დაალაგე სიტყვები ასოების რაოდენობის მიხედვით:

ქა, ქუქყიანი, ქია, მაქარი, ხერხი, ქარხალი,

ქრელაქრულა, ქიანქველა.

## დაწერე ერთი წინადადება:

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

# ნ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:

## დაწერე სიტყვა:

ხე

## დაწერე წინადადება:

ხვიჩამ ხე გახერხა.

## იპოვე ასო ხ და შემოხაზე:

ხ უ ფ ზ უ ხ ძ

დ ძ ხ კ უ ბ ფ ს ხ ძ უ

ლ ფ უ ე ნ ძ ხ

ყ ქ ბ უ ნ ს უ

## დააკავშირე ნახატი ნაწერთან:



მოწყენილი

ატირებული

გაოცებული

შეშინებული

მხიარული

გაბრაზებული

## ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲔ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ:

ხატიმ ხალჩა მოქსოვ.

ხვიჩა ხმამღლა იცნის.

ხურმა ხლია.

## ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ ᲘᲞᲝᲕᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲤᲔᲠᲐᲓᲔ:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ღ | ლ | ხ | მ | ა | ნ | ა |
| ხ | ნ | უ | რ | ხ | ა | ხ | ა |
| ე | უ | ვ | ე | ხ | ე | ლ | ი |
| ყ | ა | ი | ხ | ა | ლ | ხ | ი |
| მ | ა | რ | უ | ს | ა | ხ | ე |

ხახა

ხე

ხელი

ხალხი

ხმა

სახე

## ᲐᲡᲝᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ:

ხალი – სალი

ხმა –

სახე –

## ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲔ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ:

ხახვი

ხილია

ხურმა

ბოსტნეულია

ხოხობი

ფრინველია

## დახატე საკუთარი თავი, როცა ბედნიერი ხარ:

## წაიკითხე ტექსტი და დაწერე შენ შესახებ:

მე მიყვარს სიცილი, ამიტომ სულ მხიარულ ხასიათზე ვარ.
ხატია ბუტიაა. ყველაფერი სწყინს და იბუტება.
ბებია ბრაზდება, როცა ნივთებს უწესრიგოდ ვყრი.
დედა ხშირად მეფერება და ამ დროს ძალიან ბედნიერი ვარ.
შენ როგორი ხასიათი გაქვს?

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:



დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:




დაწერე ასო:



## დაწერე სიტყვები:

ჯაგრისი, ჯემი, ჯოხი, ჯუჯა.

## გამოიცანი სიტყვა და გააფერადე:



## იპოვე და გააფერადე ასო ჯ:

შ ჩ ბ ჯ

## დააკავშირე სიტყვები ილუსტრაციასთან:

სამაშველო ჟილეტი

ნიჩაბი



მდინარე

ჩაფხუტი

ნავი

## დაითვალე ასოები:

სწრაფი

ჩანჩქერი

ნაპირი

მდინარე

დინება

## გამოიცანი და ჩაწერე გამოტოვებული ასო:

ჯ_მი     ჯო_ი     _უჯა     ჯვა_ი     ჯებირ_

## გამოიცანი და დაწერე:



## დაასრულე აზრი:

ჯომარდობა, სახეობა, ვარჯიშობენ, კლუბი.

ჯომარდობა სპორტის __________.

ჯიმის მოსწონს ________.

ეს ჯომარდობის _________.

ჯიმი და მისი მეგობრები __________.

**ამოიწერე ტექსტიდან სიტყვები, რომლებშიც არის ასო ჯ:**

– ჯაბა, ჩვენ ჯომარდობაზე მივდივართ.

– მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

– ჯომარდობის გამოცდილება გაქვს?

– გამოცდილება საჭიროა?

– აბა, როგორ? ცურვა იცი? ვარჯიშობ? ნავში მჯდარხარ?

1. ........................................................................................
2. ........................................................................................
3. ........................................................................................
4. ........................................................................................

**დათვალე რამდენი სიტყვაა თითოეულ წინადადებაში და შეაერთე შესაბამის ციფრთან:**

| 3 | 2 | 4 |
| --- | --- | --- |
| ჯომარდობა მთის მდინარეზე იმართება. | ჯომარდობა სპორტის სახეობაა. | ჯომარდობისთვის ემზადებიან. |

**ჩასვი გამოტოვებული სიტყვები და გადაწერე წინადადებები:**

| | | |
| --- | --- | --- |
| ჯომარდი ყოჩაღსა და --------- ჰქვია. | ჯომარდს ახურავს ---------- . | ---------- აცვია ჟილეტი. |

შეაფასე შენი ნაშრომი:



დააკვირდი ასოს მოხაზულობას:

# ჳ

დააკვირდი ასოს წერის მიმართულებას:



დაწერე ასო:



## დაწერე სიტყვები:

ჰამაკი ჰაერი ჰალსტუხი

## დააკვირდი, შეადგინე სიტყვა და ჩაწერე ჩარჩოში:




## შეაერთე მარცვლები ისე, რომ მიიღო სიტყვები და დაწერე:

ჰა კი ზე რი

მა ბურ ჰამ

## დააკვირდი სურათს, შეადგინე წინადადება და ჩაწერე:



ჰიპოპოტამი დასველდა იმიტომ, რომ ______________________ .

## წაიკითხე წერილი და შეასწორე სოფიას მიერ დაშვებული შეცდომები:

**სოფია ცეკვის გაკვეთილზე წავიდა და დედას დაუტოვა წერილი.**

დედიკო! ვერ ვასრებ სადლობას. დღეს ცეკვის კონკუსი გვაქვს და მე უნდა ვიცეკო „არგენტინული ტანგო“. გელოები. მინდა, რომ მოხვიდე და ნახო, როგორ ვცეკავ.

## იპოვე სწორი პასუხი და გააფერადე შესაბამისი წრე:

ა) რამდენი ასოა ქართულ ენაში?

32 34 33

ბ) რამდენი ხმოვანია ქართულ ენაში?

5 7 6

გ) რამდენი თანხმოვანია ქართულ ენაში?

29 28 27

## იპოვე სიტყვაში სიტყვა და დაწერე:

თავისუფლება ..........................

ჯარისკაცი ..........................

მზესუმზირა ..........................

## გადაიწერე:

ჰენრი და ჰარი ძმები არიან. ისინი ჰოლანდიაში დედასთან და მამასთან ერთად ცხოვრობენ. ჰენრის უყვარს ჰამაკში წოლა, ჰარის – სუფთა ჰაერზე სეირნობა. ძმებს ჰყავთ საყვარელი ძაღლი ჰანი. ისინი ჰანისთან ერთად ხშირად თამაშობენ.

შეაფასე შენი ნაშრომი:





